

პროექტის აღწერილობა

ერთად დავძლიოთ ქალთა მიმართ ძალადობა

პროექტის

განმახორციელებელი:

გაეროს ქალთა ორგანიზაცია

დონორი:

ევროკავშირი

მთლიანი ბიუჯეტი:

ევრო 1,875,000

პროექტის ხანგრძლივობა:

ნოემბერი 2016 – ნოემბერი 2019

მიზანი:

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის
პრევენცია და მისი გამომწვევი მიზეზების და შედეგების
აღმოფხვრა საქართველოში

შედეგი:

საქართველოში შექმნილია საერთაშორისო სტანდარტების
შესაბამისი საკანონმდებლო, პოლიტიკისა და სერვისების
ჩარჩო ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის
საკითხებზე, რომლებიც ეფექტურად ხორციელდება
ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე (გურია და ქვემო
ქართლში) საქართველოში



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



გაეროს ქალთა ორგანიზაცია, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მხარდაჭერით, ახორციელებს პროექტს „ერთად დავძლიოთ ქალთა მიმართ ძალადობა“, რომელიც 2016 წლის ნოემბერში დაიწყო და 2019 წლის ბოლომდე გაგრძელდება.

პროექტი პირდაპირ პასუხობს საქართველოს მთავრობის მიერ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე ნაკისრ ვალდებულებებს ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის თვალსაზრისით. მისი მიზანი ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენცია და მისი გამომწვევი მიზეზების და შედეგების აღმოფხვრა, საკანონმდებლო და პოლიტიკის ჩარჩოს დახვეწისა და მომსახურებების მიწოდებისათვის სათანადო გარემო-პირობების შექმნის გზით.

ამ მიზნების მისაღწევად, პროექტის ფარგლებში ინტერვენციები განხორციელდება თბილისში და ქვემო ქართლისა და გურიის რეგიონებში.

კერძოდ, პროექტის ფარგლებში მოძიებული იქნება ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ სანდო და შედარებადი მონაცემები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ეროვნულ კვლევის ჩატარების გზით, რომლის მიზნებს დაყრდნობით შემუშავდება ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობისაკენ მიმართული საკომუნიკაციო სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა.

ამასთან, პროექტი გააძლიერებს პოლიტიკის შემქმნელი და მომსახურების მიმწოდებელი ძირითადი უწყებების შესაძლებლობებს უკეთ დაიცვან ქალები ძალადობისაგან, მათ შორის ოჯახში ძალადობისაგან, შესაბამისი უწყებებისთვის და პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოსათვის დახმარების განწვევის გზით. პროექტი ადვოკატები ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის აღკვეთის საკითხებზე შესაძლებლობების გაძლიერებისაკენ მიმართულ ინტერვენციებს შესთავაზებს მომსახურების სხვადასხვა მიმწოდებლებს (ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, სახალხო დამცველის აპარატი, პოლიცია, სოციალური მუშაკები, ჯანდაცვის მუშაკები, პროკურორები და ადვოკატები.

ძალადობის განმეორების პრევენციისა და ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების გაფართოების მიზნით, პროექტის მხარდაჭერით, პროექტის სამიზნე რეგიონებში შეიქმნება ორი ახალი კრიზისული ცენტრი. ამასთან, პროექტი შეიმუშავებს ოჯახში მოძალადეთა სარეაბილიტაციო პროგრამას და მოახდენს მის პილოტირებას. აგრეთვე, მოხდება ჯიპიეს (GPS) სამაჯურების სისტემის დანერგვა მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. გარდა ამისა, პროექტის დახმარებას გაუწევს საქართველოს მთავრობას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალურ-ეკონომიკური რეაბილიტაციის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია გაეროს ქალთა ორგანიზაცია და ის არ გამოხატავს ევროკავშირის მოსაზრებებს.



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

